ხობის მოამბე

„თვითმმართველობა ულოცავს ნუგზარ წურწუმიას ევროპის ჩემპიონობისა. საცა ერევა ადამიანი, იქი ყველაფერს ხელიდან... ყოველი სახელმწიფოა, რომელსაც ეყოლა თუ ეფიანად დაიცდეთანი, ხალიფა-ხალიფალად ანის ადამიანია, რომ მოვდა და ანგრევდა ადამიანი იყოს.“

№13 (7072) 30 ივნისი,
ხუთშაბათი, 2016 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

30 ივნისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები: მათ შორის განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ რომლის თანახმადაც ქალაქ ხობში საფეხბურთო მოედნის რეკონსტრუქციისას ტრიბუნის გარკვეული ნაწილის დემონტაჟიდან მიღებულია დაახლოებით 130 ტონა მეორადი შავი ლითონის ჯართი, რომლის გარკვეული ნაწილის გამოყენება შესაძლებელია მეორად სამშენებლო მასალად, აუდიტის დასკვნის საფუძველზე 1 (ერთი) კგ ჯართის საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 14 (თოთხმეტი) თეთრი. ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია აუქციონის წესით პრივატიზებულიქნას ორი ერთეული სატვირთო ავტომანქანა „ზილ 131“ და SAZ-35-07, რომელიც ამორტიზირებული და გამოუსადეგარია. აღნიშნული ავტომანქანები მუნიციპალიტეტს გადმოეცა ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ლიკვიდაციის შედეგად.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვითაც „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებლებს დაევალათ ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებული უფლება მოსილებების განსახორციელებლად უფლებამოსილი პირების განსაზღვრა და გამგეობის მოხელეებისთვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრება, კერძოდ: ცვლილებები შეეხება დაბადების (თუ ბავშვი დაიბადა სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე) რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვას, პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენას და პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულებას.

ბოლო საკითხად ასევე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის მიხედვითაც გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საფუძველზე ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში საყოფაცხოვრებო შენობის მე-2 სართულზე მდებარე 12 კვ.მეტრი ფართის აუქციონის წესით გაიჯარება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ვულოცავთ!
ნუგზარ წურწუმია ევროპის ჩემპიონია

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მიმდინარე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბრწყინვალედ იასპარეზა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ სასპორტო სკოლის მოჭიდავემ ნუგზარ წურწუმიამ და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ხობელმა ფალავანმა უკრაინელი ვიტალი კუშნირი (10:2), სომეხი სერგეი სიმონიანი (4:2) და იტალიელი ჯოვანი ფრენი (6:3) დაამარცხა, ფინალში კი აზერბაიჯანელ აზარ ნასიბის დაძაბულ ბრძოლაში 10:8 სძლია და 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ულოცავს სახელოვან სპორტსმენს მიღწეულ წარმატებას და უსურვებს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მრავალგზის აჟღერებას მსოფლიო ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებზე.

27 ივნისს, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ევროპის ჩემპიონ ნუგზარ წურწუმიას შეხვდნენ და ჩემპიონატზე მიღწეული დიდი წარმატება მიულოცეს. ევროპის ჩემპიონმა და მისმა მწვრთნელებმა–მამუკა ყორშიამ, სურაჯი გვასალიამ და ბაკურ ბუკიამ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ბოლო პერიოდში ჭიდაობის სფეროში მიღწეულ წარმატებებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. თვითმმართველობის წარმომადგენელთა განცხადებით მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე პირველ და საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენების დასაჯილდოებლად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში თანხაა გათვალისწინებული, რომელიც წარმატებულ სპორტსმენებს წლის ბოლოს დაგეგმილ დაჯილდოების ცერემონიალზე გადაეცემათ.

გვანცა ბარბაქაძე–შ.ს. სამინისტროს კონკურსის გამარჯვებული

ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე გვანცა ბარბაქაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ სოციალური კამპანიის „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში გამოცხადებული ნახატებისა და ესეების კონკურსის გამარჯვებულია. კონკურსში გამარჯვებულ ხობელ მოსწავლეს პლანშეტური კომპიუტური გადაეცა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, კონკურსი მთელი ქვეყნის მასშტაბით, სკოლებში გამოაცხადა. კონკურსის მიზანია ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სამუშაო შეხვედრები ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან

20 ივნისს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია უძღვებოდა. შეხვედრაზე მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან სამეურნეო სამუშაოების დასრულების შესახებ მოისმინა ინფორმაცია და დამსწრე საზოგადოებას მიწის დარეგისტრირების გამარტივების მიზნით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე ესაუბრა. გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსმა ანტონ ვარდიამ გამგებლის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია აგროდაზღვევის (პროგრამა ხორციელდება სახელმწიფო თანადაფინანსებით), ხოლო შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსმა შოლინა კანკიამ ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული სოციალური პროგრამების შესახებ. შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ზვიად ბუკია, ადმინისტრაციული სამსახურის შესაბამისი განყოფილებების მოსამსახურეებთან ერთად ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონში და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო. 2016 წლის 27 მაისს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა თანახმად მუნიციპალიტეტების გამგებლებს /მერებს/ დაეკისრათ კონკრეტული ვალდებულებები. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ყველა მუნიციპალიტეტის გამგებელი /მერი/ ვალდებული იქნება, საქართველოს მოქალაქეობის დადგენის მიზნით შექმნას მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებული კოლეგიური ორგანო - პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) დამდგენი კომისია, რომელიც გასცემს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის დამადასტურებელ ცნობას, რომლითაც პირს შეიძლება დაუდგინდეს საქართველოს მოქალაქეობა. ამავე დროს, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით კანონით გათვალისწინებული შეტყობინებისა და შესაბამისი დოკუმენტების, თვითმმართველი ერთეულის შესაბამის დასახლებაში პირის დაბადების შესახებ შეტყობინების, გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენის და გარდაცვალების ფაქტის შესახებ ოქმის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში გაგზავნა ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს დაეკისრა.

ინფრასტრუქტურული პროექტის მონიტორინგი ხობში

ხობის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარე სამუშაოები სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს. ოფიციალურმა პირებმა მონიტორინგი აწარმოეს ქალაქ ხობში, სადაც შიდა გზები მოასფალტდა, მოასფალტების პარალელურად ადგილებზე მოეწყო ბეტონის სანიაღვრე არხები, მიმდინარეობს N1 საბავშვო ბაღის და ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია, ხოლო ზემო ქვალონსა და შუა ქვალონში წყალსაცავი სისტემის მოწყობის სამუშაოები. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წელს ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 2 550 000 ლარი. აღნიშნული პროექტების განხორციელების პროცესში, სამშენებლო სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული.

ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტი „ცოცხალი წიგნები“

21 ივნისს ხობის მუნიციპალიტეტს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში მწერლები ესტუმრნენ. სტუმრებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაიამ უმასპინძლეს. შეხვედრას კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია ესწრებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მწერლებს ხობის მუნიციპალიტეტის კულტურაზე, საგანმათლებლო პროგრამებზე და ბოლო პერიოდში განხორციელებულ პროექტებზე ესაუბრნენ. შეხვედრის შემდეგ კულტურის სახლის ფოიეში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ეთერ თათარაიძემ, ამირან არაბულმა, მარსიანმა (გია ბენიძე), მანანა დუმბაძემ, რობერტ მესხმა, ნინია სადღობელაშვილმა, შარლოტა კვანტალიანმა და შორენა ლებანიძემ დამსწრე საზოგადოებას თავიანთი შემოქმედება გააცნეს, საკუთარი ნაწარმოებებიდან ფრაგმენტები წაიკითხეს და მათი შექმნის ისტორია გააცნეს. შეხვედრის ბოლოს სტუმრებმა ქალაქ ხობის თედო სახოკიას სახელობის ბიბლიოთეკას საჩუქრად წიგნები და ლიტერატურული პრესა გადასცეს.

პროექტი „ცოცხალი წიგნები“, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, მიზნად ისახავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სოფლებისა და ქალაქების საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, კულტურის სახლებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში, მწერლების სტუმრობას, მკითხველთან შეხვედრას და მათ დაახლოებას წიგნთან.

ხობის მონასტრის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ხობის მონასტრის (საკათალიკოსო სასახლე) სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება 445.968 ლარია და ის საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში განხორციელდება საკათალიკოსო სასახლის სრული რეაბილიტაცია, მოეწყობა მუზეუმი და განხორციელდება არქეოლოგიური კვლევები. ხობის მონასტერი ძველ დადიანთა საძვალეა, ამავე დროს იგი შუა საუკუნეებში წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსების რეზიდენციას და საძვალეს. საკათალიკოსო სასახლე ბევრჯერ არის გადაკეთებული, რომელიც XX საუკუნის 20-30 იან წლებში დაინგრა, რის შემდეგაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოები არ განხორციელებულა.

კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდება

ქალაქ ხობში, გიორგი ჭყონდიდელის N6-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა. პროექტის ფარგლებში დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი და მოეწყო სანიაღვრე სისტემა. სამუშაო, რომლის ღირებულებაც 43459.62 ლარია, შპს „შარაგზამშენი პირველმა“ განახორციელა. ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოზე 16 ადგილობრივი იყო დასაქმებული. ხოლო, ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო და ეზოს შემოკავების სამუშაოები. სამშენებლო სამუშაოს, რომლის ღირებულებაც 26999 ლარია, ხუთი ადგილობრივია დასაქმებული.

სოფელი

ზემო ქვალონი ერთ-ერთი პატარა სოფელია ხობის მუნიციპალიტეტში. თუ რა აწუხებს სოფელს, რა კეთდება და რა არის სამომავლოდ გათვალისწინებული, გავესაუბრეთ სოფლის თავკაცს.

„ხობის მოამბეს“ ამ ნომრის სტუმარი გახლავთ სწორედ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ზემო ქვალონის თემში. ახალგაზრდა, ძალზე მონდომებული პიროვნება ლევან კილასონია.

„აღმშენებლობა გრძელდება“

ცოტა რამ თქვენს შესახებ?

–დავიბადე ხობის რაიონის სოფელ ზემო ქვალონში. 1993 წელს დავამთავრე შუა ქვალონის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯერის სპეციალობაზე. მყავს მეუღლე ირინა ქარდავა და ორი შვილი–სალომე და ლუკა.

სოფლის ისტორიაზე რას იტყოდით?

–ზემო ქვალონი უძველესი სოფელია, მაგრამ მნიშვნელოვანია არა მარტო თავისი სიძველით, არამედ ასევე იმ ეკლესიით, რომელიც წმინდა გიორგის სახელობისაა და აქვს თავისი ისტორიული წარსული და მნიშვნელობა...

ცნობილ ადამიანებზეც გვესაუბრეთ, იმათზე, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით სოფლის აღორძინებაში.

–უპირველესად გეტყვით, ზემო ქვალონში დაიბადა ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილი, ეროვნული გმირი ჟიული შარტავა. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი მოსახლეობის რაოდენობით პატარაა (300 კომლისგან შედგება), ჰყავს ბევრი ნიჭიერი, ცნობილი ადამიანი, განსაკუთრებით მეცნიერებაში. მეცნიერება ხომ ქვეყნის წარმმართველი ძალაა და ის ადამიანები, რომლებსაც წვლილი მიუძღვით არა მარტო სოფლის, არამედ ქვეყნის წინსვლაში დავასახელებდი ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებს ლადო ხოჭოლოვასა და ვაჟა ფაჩულიას, საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის დოცენტს მზისა გვათუას, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს–აკადემიკოს ნანა მალანიას. ზემო ქვალონში დაიბადა და გაიზარდა ცნობილი ექიმი, ყველა ოჯახის მეგობარი და დედა, შ.პ.ს. „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკის“ დირექტორი სვეტლანა გვათუა...

თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი...

–ჩემს ცხოვრებაში ყველა ეტაპი მნიშვნელოვანია. უმნიშვნელო ცხოვრებით არასოდეს მიცხოვრია. ჩემი ურთიერთობა საზოგადოებასთან მაშინ დაიწყო, როდესაც საბავშვო ბაღში შემიყვანეს. მიყვარს ჩემი თაობა, ერთად ვართ გაზრდილები. მიყვარს აღმზრდელები. ჩემი სოფელი. შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სკოლაში სწავლის პერიოდი. ვსწავლობდი კარგად. ბევრს ვშრომობდი. ვიყავი წარმატებული მოსწავლე. შემდგომ მნიშვნელოვან ეტაპად ოჯახის შექმნა მივიჩნევ. ვარ ორი შვილის მამა და რა თქმა უნდა, დღევანდელი პერიოდიც მნიშვნელოვანია. თანამდებობა ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა ეს ჩემი საქმე და მოვალეობაა. ამჟამად ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები კეთდება სოფლის საკეთილდღეოდ.

მიმდინარე წლის ნახევარი ეს-ესაა იწურება, რა გაკეთდა ამ დროისთვის სოფელში ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად?

–დღეს ზემო ქვალონში იმდენი კეთდება, რაც არც ჩემი თაობის და არც უფროსი თაობის ადამიანებს რომ არ ახსოვთ. სოფელს ჰქონდა ძალიან ბევრი პრობლემა: მოსახლეობას არ მიეწოდებოდა წყალი, არ იყო ელექტროგამრიცხველიანება. სოფელს ძალიან უჭირდა. დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს სოფლის საკეთილდღეოდ. დაიწყო და გრძელდება სასმელი წყლის შემოყვანა. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე მონდომებული ვარ. მსურს, ჩემს სოფელს ყველაფერი ჰქონდეს, აყვავდეს და ხალხმა გაიხაროს.

სოფლის პრობლემები და სატკივარი გულთან ახლოს მიიტანეს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილემ ვარაზ გაბედავამ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ. ამ ცოტა ხნის წინათ ბატონი ლევან შონია ეწვია სოფელს და შეხვდა მოსახლეობას. მოსახლეობამ მადლიერება გამოხატა ხელისუფლების მიმართ. არც ერთი ოჯახი არ რჩება სასმელი წყლის გარეშე. როგორც ზემო ქვალონის თემს, ასევე შუა ქვალონის მოსახლეობისთვის (მთლიანობაში 404 ოჯახი) მიწოდებული იქნება წყალი 24 საათიანი გრაფიკით. ამ სამუშაოებს ასრულებს კომპანია „ემ ჯგუფი“. დასაქმებულია ადგილობრივი მაცხოვრებლებიც. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოსახლეობის სახელით დიდი მადლიერება გამოვხატო „ემ ჯგუფის“ თანამშრომლების მიმართ. ასევე სოფელში შემოტანილიქნა ელექტროენერგიის გადამცემი ბოძები და კეთდება ელექტრო გამრიცხველიანება.

რას გვეტყვით სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე. რამდენია გამოყოფილი თანხა ზემო ქვალონელებისთვის. რა გადაწყვიტეთ, რა გაკეთდება ამ მიმართულებით. დღეისთვის რა არის გაკეთებული. როგორია ხალხის ჩართულობა?

–სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ზემო ქვალონის თემში გამოყოფილი თანხა არის 24 000 ლარი. ჩატარდა სოფლის კრება, სადაც მოსახლეობამ მოითხოვა გზების მოხრეშვა–მოშანდაკება. სახოჭოლაოს უბანში ხიდ-ბოგირისა და სანიაღვრე არხის მოწყობა. ამ სამუშაოების დაწყებას უახლოეს მომავალში ველით.

რა მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში? ხვნა-თესვის ბარათებზე რას იტყვით?

–დღევანდელმა ხელისუფლებამ სოფლის აღორძინებისთვის მრავალი პროექტი განახორციელა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამა, ხვნა-თესვაზე დახმარებები, რომელიც მეოთხე წელია წარმატებულად მიმდინარეობს. ჩვენთან ყოველწლიურად იხვნება 226 ჰა. მიწის ფართობი. სოფელში დაუმუშავებელი მიწა არ არის დარჩენილი. მოსახლეობა აღნიშნული პროექტით კმაყოფილია.

რა არის ის, რაც ხვალ უნდა გაკეთდეს, ან არც ისე შორეული მომავლისთვის?

–ეკლესიის აღდგენა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, რაც ახლო მომავალში უნდა გაკეთდეს და რაზედაც სოფლის მოსახლეობა მონდომებულია. ყველას სურს წვლილი შეიტანოს ეკლესიის აღდგენის სამუშაოებში. საქართველო ხომ მართლმადიდებლური ქვეყანაა. უნდა აშენდეს ეკლესია–ღვთის ტაძარი, ხალხს სურს მოვიდეს ეკლესიაში, მიუახლოვდეს ღმერთს ანუ სიყვარულს, რადგან ღმერთი სიყვარულიაო, ასე წერია ბიბლიაში. უნდა ვილოცოთ ერთმანეთისა და სამშობლოს გადასარჩენად. მთავარია, გვიყვარდეს ერთმანეთი.

ჯანდაცვის პროგრამით რა გაკეთდა სოფელში–წლების მანძილზე არ გყავდათ ექიმი, რა მდგომარეობაა ამ კუთხით დღეს?

–გამგეობის და საკრებულოს დაფინანსებით, სოფელს ემსახურება მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ექიმი მარიკა ლატარია. ასე, რომ, ჯანდაცვის პროგრამაც წარმატებულად ხორციელდება. მოსახლეობა მადლიერია.

აღმშენებლობა გრძელდება!

ესაუბრა
ნანი კილასონია.

გვწერენ

ამაგდარი

ნათქვამია, ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვა. სამწუხაროდ, ჩვენს ირგვლივ არიან ადამიანები, რომელთა მიწიერი სიცოცხლეც მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვასა და ფიქრში ჩაივლის. მაგრამ უფლის განგებით, იბადებიან ისეთები, რომელთაც მთელი სიცოცხლე ერთგული ხარებივით მამულის უღელში უწევთ შრომა. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის მკვიდრი ჯარნოზი აბრამის ძე კვიკვინია. იგი დაიბადა 1930 წელს. ამ სოფელში დღესაც არის მისი „ბავშვობის ნაფეხურები“... სულ პატარა ბიჭი იყო, როცა მამა დიდ სამამულო ომში წაიყვანეს და იქიდან არ დაბრუნებულა, იგი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. 1945 წელს მარჩენალი დედაც გარდაეცვალა, დარჩა ობლად ორი და და სამი ძმა. ბავშვები ნათესავებმა წაიყვანეს აღსაზრდელად, უმცროსი ძმა ჯუმბერი 11 წლის იყო, როცა ტვინის ანთებით გარდაიცვალა. ერთი და დინარა ბიძამ გაზარდა, მეორე და დეიდაშვილმა...

დღეს ბატონი ჯარნოზის დედმამიშვილებს საზოგადოებაში თავისი ღირსეული ადგილი უკავიათ და ამაყობენ იმით, რომ სამშობლოს ღირსეული შვილები და შვილიშვილები გაუზარდეს.

ჯერ კიდევ 19 წლის არ იყო, როცა ჯარნოზმა ოჯახი შექმნა. ცოლად შეირთო შესანიშნავი ადამიანი–თავისი ცხოვრების მეგზური ლილი შამუგია, რომელმაც ექვსი შვილი–ოთხი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი აღზარდა. მის შვილებსა და შვილიშვილებს ღირსეული ადგილი უკავიათ საზოგადოებაში, მას 8 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი ყავს, მალე კიდევ შვილთაშვილის შვილს ელოდება.

ნაამაგარი კაცი, როცა ბავშვობას იხსენებს, თვალებზე ცრემლი მოადგება და ამბობს, ჩემისთანა ბავშვობა არავის განაცდევინოს ბუნების გამჩენმა ძალამ. იყო ისეთი მომენტიც, როცა მშიერი ვიძინებდიო. იმასაც იხსენებს, რომ მეზობლები და ნათესავები, რაც შეეძლოთ ეხმარებოდნენ, მაგრამ განსაკუთრებით ახსოვს მისი ბავშვობის მეგობარი, აწგანსვენებული ბატონი ოთარ კვიკვინია. ხშირად ის ჩემთან ათენებდაო ღამეს და დილით სანამ ავდგებოდით, ოთარის დედა, ქალბატონი ვალენტინა კორტავა კეცზე გამომცხვარი ჭადითა და თხის რძით გვიმასპინძლდებოდაო. განსაკუთრებით დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებს თავის მასწავლებლებს: ბატონებს ჟორჟი ლატარიასა და შალიკო აბჯანდაძეს, რომელთა დახმარებითაც ის ჩაირიცხა თბილისის ერთ–ერთ სამშენებლო ტექნიკუმში. მეორე კურსზე ყოფილა, როცა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაუწვევიათ, სადაც მან 3 წელი იმსახურა. ჯარში გატარებულ დროს ძალიან თბილად იხსენებს, ამბობს, ის ჩემთვის იყო სკოლა, იქ დავეუფლე ელექტრომექანიკოსის პროფესიას. მას მიღებული აქვს მრავალი საპატიო სიგელი და ჯილდო.

ბატონი ჯარნოზის მიერ არის გაყვანილი მაღალი ძაბვის სადენები ხეთიდან აბასთუმანის საზღვრამდე.

თითქმის 45 წელი მუშაობდა ხობის ელქსელში ელექტრომონტიორად და თავის საქმეს კეთილსინდისიერად ემსახურებოდა. მხოლოდ პირველ მაისში მას 11 ტრანსფორმატორი აქვს დამონტაჟებული. იგი გულთბილად იგონებს მაშინდელი ელქსელის უფროსს ბატონ აჩიკო შამუგიას, როგორც შესანიშნავ ხელმძღვანელსა და მეგობარს.

ბატონი ჯარნოზი ელექტრომექანიკოსის პროფესიას შესანიშნავად უხამებდა, საზოგადოებრივ საქმიანობას. იმ პერიოდში საკვიკვინიოს უბანში გაიხსნა მე-2 საშუალო სკოლა, მის მშენებლობაში სხვებთან ერთად მას დიდი წვლილი მიუძღვის. წლების განმავლობაში იყო სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე, იგი დიდი სითბოთი იხსენებს ბატონ რაულ სერგიას, რომელიც ორ ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში იყო პირველი მაისის №2 საშუალო სკოლის დირექტორი.

მან ერთი ძველი ამბავიც გაიხსენა. იმ პერიოდში იმ უბანში დამონტაჟებული ყოფილა 50 კვ. ძაბვის ტრანსფორმატორი, რომელიც არ ყოფნიდა სოფლის ამ უბანსა და საშუალო სკოლის მოთხოვნებს, ამიტომაც სამინისტროს გამოუგზავნია 100 კვ. ძაბვის ტრანსფორმატორი. ელქსელის ხელმძღვანელებს სასწრაფოდ დასჭირვებიათ ასეთი ტრანსფორმატორი პირველი ხორგის მეცხოველეობის ფერმისთვის და მის წაღებას აპირებდნენ. ეს ამბავი შეუტყობინებიათ ბატონი ჯარნოზისთვის. მას სასწრაფოდ შეუკრებია იმ უბნის წარჩინებული ადამიანები გიორგი ჯობავა, ხუტა იასონის ძე კვიკვინია, ნესტორ ლომაია, შოთა იოსავა და სხვები, მათი დახმარებით ღამით მანქანების შუქზე დაუმონტაჟებია ეს ტრანსფორმატორი და როცა ელქსელის ხელმძღვანელობა მისულა, ტრანსფორმატორი დამონტაჟებული დახვედრიათ.

თავისი პრინციპულობით, შეუპოვრობით და ამ უბნის ადამიანების თანადგომით მას ხალხისთვის ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული.

სასიამოვნოა, რომ ისევ ჭარმაგად გამოიყურება 87 წლის ამაგდარი ადამიანი. ღმერთმა გვიმრავლოს ამისთანა ზნეკეთილი, თავის ოჯახზე, შვილებზე, შვილიშვილებზე შეყვარებული, თავის მეგობრებზე და მეზობლებზე თავგადამკვდარი ადამიანი.

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ჯარნოზ კვიკვინია თავისი ოჯახისა და ჩვენი სოფლის საკეთილდღეოდ.

გიგლა კვიკვინია.

სიახლეებზე ორიენტირებულნი

ზოგადად სკოლისთვის ყველაზე რთული, შრომატევადი და საპასუხისმგებლო სწავლის დაწყებისა და დასრულების პერიოდია. სწორედ ეს ეტაპი გვაქვს ამჟამად. ვიკვლევთ, ვაანალიზებთ, გარკვეულ დასკვნებს ვაკეთებთ, სუსტი და ძლიერი მხარეების გაანალიზებით მომავალი სასწავლო წლისთვის მზადებას ვიწყებთ.

როცა სკოლის თვითშეფასებაზე ფიქრობ, სამი ძირითადი ასპექტი მოდის წინა პლანზე ესენია: საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი.

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით 2015-2016 სასწავლო წელს დიდი სიახლეები არ გვქონია, იმ გასაგები მიზეზიდან გამომდინარე, რომ 2016 წელი ეროვნული სასწავლო გეგმის მოქმედების ბოლო წელია (მოქმედების ვადა 2011-2016 წწ.), ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმა სწორედ ესგ-ს უნდა შეესაბამებოდეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საგანმანათლებლო მიმართულებით სკოლა მოდუნებულია და მხოლოდ დინებას მიუყვება. სასწავლო პროცესი ცოცხალი პროცესია და მისი თითოეული ეტაპი მოსწავლისთვის ინდივიდუალურად მხოლოდ ერთხელ დგება. ამიტომ რაიმეს მსუბუქად გადატარება–გადასვლა ყოვლად დაუშვებელია. ეს მაშინვე, ავტომატურად აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. შემიძლია ვთქვა, რომ ქარიატის საჯარო სკოლას აღნიშნული მიმართულებით ნამდვილად აქვს წარმატებები. პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ კატ-ის გამოცდები (სკოლის დამამთავრებელი გამოსაშვები გამოცდები) სკოლის უკლებლივ ყველა მოსწავლემ წარმატებით ჩააბარა. საერთო დონის გათვალისწინებით ეს სერიოზული შედეგია.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში. ეს ერთგვარი ტრადიციაა. შედეგებიც, მეტ-ნაკლებად კარგია. კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები უკვე რამდენიმე წელია სხვადასხვა საზაფხულო ბანაკებში ისვენებენ. თან ეს ბანაკები ძალიან კარგი, გაეათლება აქტიური პროცესის მქონე, საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობენ მოსწავლეებს.

ყველაზე პერსპექტიულ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეც გვყავს დავით ბერაია (მე-10 კლასი) დავითი ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული ოლიმპიადის ფინალისტია. ის 19 ივნისს ორ ხობელ მოსწავლესთან ცოტნე ქირიასა და ცოტნე გუჩუასთან ერთად ინგლისური ენის ბაქსვუდის საზაფხულო სკოლაში წაიყვანეს (Buckcwood-ის სკოლა). ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა.

ეს სასწავლო წელი გამორჩეული იყო იმითაც, რომ ქარიატის საჯარო სკოლაში ჩატარდა საერთაშორისო კვლევები (ქართული ენისა და ლიტერატურის, ქიმიის), რამაც წარმატებით ჩაიარა.

სკოლის უკლებლივ ყველა მოსწავლე დადებითდ შეფასდა, წარმატებით დაძლიეს კლასები თუ საფეხურები და მომდევნო კლასში გადავიდნენ.

მატერიალური რესურსების თვალსაზრისით სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი შენობა, ინვენტარი და სხვა. 2006 წ. სკოლას ჩაუტარდა ნაწილობრივი კაპიტალური რემონტი. მას მერე მუდმივად ვგეგმავთ სკოლის ბიუჯეტით სხვადასხვა რემონტს, ვაკეთებთ რესურსების შენატანებს, განვაახლებთ სასკოლო გარემოს, ვამდიდრებთ ბიბლიოთეკის ფონდს სხვადასხვა წიგნებით, პერიოდიკითა და დამხმარე მასალით. სკოლის ბიბლიოთეკა ქარიატის საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის საყვარელი და აქტიურად მოხმარებადი რესურსია, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ფაქტია.

ადამიანური რესურსის სტანდარტებთან მიმართებით ვიტყვი, რომ საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მასწავლებელი ჩართულია მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის საქმეში. ქარიატის საჯარო სკოლის მასწავლებლებიც აქტიურად არან ჩართულნი რაც ხელს შეუწყობს კარიერულ წინსვლასა და პროფესიულ განვითარებას, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

მასწავლებლები უფრო აქტიურნი, მიზანდასახულნი და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულნი გახდნენ, რაც დადებითად აისახება სწავლა-სწავლების ხარისხზე.

მაია ალექსანდრია,
ქარიატის საჯარო სკოლის დირექტორი.

სპექტაკლის კვალდაკვალ

გამარჯვებები ყოფილიყოს თქვენი გზამკვლევი...

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივითა და ორგანიზებით 1-9 ივნისის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით გაიმართა კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალი „ოქროს საწმისი“–ქართული ტოლერანტობა მეფე აიეტიდან დღემდე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლის იუბილეს. ფესტივალი მოიცავდა საჯარო ლექციების, კალიგრაფიის, სპექტაკლების კონკურსებს. სსიპ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო ფესტივალში სპექტაკლით–„ჰელადოსი“. ფესტივალს ორგანიზატორობას უწევდა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თ.ს.უ.-ს კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტიკისა და ნეგრესტიკის ინსტიტუტი. წარმომადგენლები გახლდათ: თამარ ცხვედიანი- კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალ „ოქროს საწმისის“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პროგრამა „ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში“ მასწავლებელი.

ნინო ბედაშვილი–საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

მედეა აბულაშვილი–თ.ს.უ.-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორი, თ.ს.უ.-ს ლექტორი.

ჟიურის წევრები: ნანა ტონია, თამუნა ჭეიშვილი, მაგდა მჭედლიძე.

დებულების თანახმად სპექტაკლში 12 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას.: ჯემალი- დათო ბოჭორიშვილი, იანგული–კოკა გოგენია, ვაჟა კანკავა, ციცინო კერესელიძე,ელენე აგუმავა, მარიამ ლომაია, გიგა დანელია, გიორგი გაგუა, ლუკა გერგაია, გოგა დანელია, ლუკა ზარანდია, გოჩა კონჯარია. იდეის ავტორი და სცენარისტი–ხელოვნების მასწავლებელი–მარინე ჯღარკავა. პროექტში საქართველოს 48 საჯარო სკოლა ღებულობდა მონაწილეობას, წარმოდგენილი იყო 8 სპექტაკლი, ჟიურიმ საუკეთესო სპექტაკლად აღიარა სსიპ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის სპექტაკლი „ჰელადოს“-ი. გადაეცათ დიპლომი „საუკეთესო სცენოგრაფიისა და მხატვრული გაფორმებისათვის“.

საუკეთესო რეჟისურისათვის სპექტაკლის სულის ჩამდგმელი ქალბატონი მარინე ჯღარკავა დაჯილდოვდა „ვეფხისტყაოსნით“. რაც შეეხება ნომინაციას მამაკაცის საუკეთესო როლის შემსრულებელი, იმდენად შთამბეჭდავად ითამაშეს დათო ბოჭორიშვილმა და კოკა გოგენიამ, ჟიურის გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება და ორივეზე ცალ-ცალკე გაიცა დიპლომები.

ქალბატონო მარინა როგორც ამ სპექტაკლის სულისჩამდგმელი რას გვეტყვოდით?

–№1 საჯარო სკოლა, როგორც ყოველთვის, ახლაც აქტიურად ჩაერთო ამ ფესტივალის სპექტაკლის კონკურსში.არჩევანი შევაჩერე ნოდარ დუმბაძის შესანიშნავ ნაწარმოებზე „ჰელადოს“-ზე.

ინცენირება, მუსიკალური გაფორმება და რეჟისურა მე მეკუთვნის. მხატვარი-ემილ გეგენავა გახლავთ, ქორეოგრაფი-ფიქრია თოდუა, ოპერატორი-ცირა ხურცია.

სპექტაკლი ვითამაშეთ 8 ივნისს, უნივერსიტეტის მე-8 კორპუსის სააქტო დარბაზის სცენაზე. ჩვენს სცენასთან შედარებით, იქ უფრო მცირე პარამეტრებთან მოუწიათ ბავშვებს შეგუება,მაგრამ მათ შეძლეს კომპეტენტური ჟიურისა და მაყურებლის გულის მოგება და მეორე დღეს -დაჯილდოების ცერემონიაზე ხობის №1 საჯარო სკოლის სპექტაკლი „ჰელადოსი“ საუკეთესო სპექტაკლად იქნა აღიარებული და დაჯილდოვდა დიპლომებით შემდეგ ნომინაციებში: 1. საუკეთესო სცენოგრაფიისა და მხატვრული გაფორმებისათვის (მარინე ჯღარკავა და ემილი გეგენავა) 2.მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისათვის –(კოკა გოგენია და დავით ბოჭორიშვილი) 3. საუკეთესო რეჟისურისათვის (მარინე ჯღარკავა) ფასიანი საჩუქარი „ვეფხისტყაოსანი“.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ აქტიურად დაგვიჭირა მხარი, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით, ასევე კულტურის სამსახურს, სკოლის დირექციას, პედაგოგებს, მსახიობებს, ჩემს მეგობრებს,რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობდნენ სპექტაკლზე

და ყველა იმ კეთილ ადამიანს ვინც გულით გაიხარა და ჩვენი სიხარული გაიზიარა... ბავშვებისთვის ის განცდა და ემოცია, რაც თეატრმა აჩუქა, მჯერა, დაუვიწყარი იქნება.

ბავშვებთან მუშაობა ძალიან დამღლელი და შრომატევადია, მაგრამ მე მიყვარს ბავშვები და მიყვარს საქმე, რომელსაც ვაკეთებ...“

ვინაიდან სასკოლო პროცესი არ მიმდინარეობს ცოტა არ იყოს გამიჭირდა მთლიანი დასისთვის თავი მომეყარა. მხოლოდ რამოდენიმეს გავესაუბრე, იმედია ხობელი მაყურებელი სპექტაკლ „ჰელადოსს“ აწ უკვე გარემონტებულ და გალამზებულ თეატრის სცენაზე ვიხილავთ.

5

4

კოკა გოგენია (იანგული) ნომინაციაში მამაკაცის საუკეთესო როლის შემსრულებელი:

–მიხარია, რომ მერგო პატივი შემესრულებინა სპექტაკლში ერთ-ერთი მთავარი როლი, რომელიც გავითავისე. წარმოვიდგინე სოხუმის სანაპირო, ლურჯი ზღვა... სამწუხაროდ, სევდამ შემიპყრო. ვისურვებდი, რომ ეს სევდა-ნაღველი, გამოწვეული აფხაზეთის დაკარგვით, ყველა ქართველის გულში წაიშალოს და დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან ერთად საქართველოს გაერთიანება გვეზეიმოს.

დათო ბოჭორიშვილი (ჯემალი) ნომინაციაში მამაკაცის საუკეთესო როლის შემსრულებელი:

–მეამაყება, რომ მცირედი წვლილი შევიტანე საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ფესტივალში, რითაც სკოლას მოვუპოვეთ მორიგი გამარჯვება. აღსანიშნავია, რომ ჩვენი წარმატება ქალბატონ მარინა ჯღარკავას, სკოლის დირექტორის ქალბატონ ქეთინო გაბისონიას და მთელი სკოლის, ვინც მხარში ამოგვიდგა მათი დიდი დამსახურებაა, რისთვისაც ყველას დიდ მადლობას მოვუხდი ჩვენი დასის თითოეული წევრის სახელით. ვისურვებ, კვლავაც ემრავლოს გამარჯვებები ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლა.

ციცინო კერესელიძე:

–ჩემთვის დაუვიწყარია სპექტაკლის წარმატებით მიღებული შთაბეჭდილება. თვალწინ მიდგას ჟიურის წევრთა აღფრთოვანებული სახეები. მიხარია, რომ ჩემი მონაწილეობით სკოლამ მორიგი წარმატება მოიპოვა, რისთვისაც მადლობას ვუხდით ქალბატონ მარინა ჯღარკავას. ამ ქალბატონმა გვაზიარა ხელოვნებას და ჩაგვინერგა თეატრისადმი დიდი სიყვარული მისი დაუღალავი შრომის შედეგია ჩვენი პირველი ადგილი.

ელენე აგუმავა:

–„არასდროს დამავიწყდება სცენაზე გასვლის წინ განცდილი ემოციები. გულისფანცქალით ველოდი ჩემს პირველ ნაბიჯებს სცენაზე. აუდიტორიის წინაშე მდგომი ელენე სრულიად გარდაისახა, მე თავს მხოლოდ ნინა დეიდად ვთვლიდი. სპექტაკლის ბოლოს, როცა აპლოდისმენტებიც დაგვაჯილდოეს, სახეზე ღიმილი არ მშორდებოდა, ემოციებს ვერ ვმალავდი, ვიყავი ბედნიერი და მსურდა კიდევ ბევრჯერ გვეთამაშნა. ამ სპექტაკლმა ერთ გუნდად გვაქცია, ყველანი ძალიან კარგები იყვნენ სცენაზე.

ვულოცავ სსიპ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლას ამ მორიგ წარმატებას, ეს იყო ქალბატონ მარინე ჯღარკავას დაუღალავი შრომის შედეგი, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას და მორიგ წარმატებებს ვუსურვებთ.

ნინო გერგაია

ოჯახი

კაფკა წერს: „ოჯახის შექმნა, ღვთისგან მოცემული ყველა მაკვშვის გაჩენა ამ ცვალემად სამყაროში, მათი შენარჩენემა და სწორ გზაზე დაყენემა, ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანისთვის მიცემული ყველაზე დიდი სიკეთეა.“ სიკეთის ამ ეტაპს თავისი სიძნელეემი ახლავს.

ოჯახური ურთიერთობემი, შვილემის ღირსეულ მოძალაძეემად აღზრდა, ტრადიციემი და საზოგადოემაში საკუთარი ნიშას დამკვიდრემა—ამაზე გვესაუბრემიან დღეს ჩვენი გაზეთის სტუმრემი, სოფიო პერტია და დათო პაპავა.

სოფიომ, ქუთაისის იოანე პეტრიწის სახელობის ინსტიტუტი დაამთავრა, თვრამეტი წლისამ მუშაობა დაიწყო სკოლაში ისტორიის მასწავლემლად, სადაც საყოველთაო სიყვარული და დამსახურემული ავტორიტეტი მოიპოვა.

განათლემულმა, მუდამ განვითარემაზე ორიენტირემულმა ადამიანმა, წარმატემით გაიარა სხვადასხვა სახის გამოცდემი და გასაუმრემემი. 2006 წლიდან მუშაობს №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიაში მდივნად. კეთილშობილი, თმილი და მოსიყვარულე, ობიექტური და თავისი საქმის დიდოსტატი, რომელიც ზედმიწევნით უსამემს სამსახურსა და ოჯახს ერთმანეთს. ეს სოფიო პერტიაა, რომელსაც ზურგს ოჯახი, პირველ რიგში კი მეუღლე—დათო პაპავა უმაგრემს.

„მინდა ყოველთვის გვიხარიოდეს“

გვიამბეთ თქვენზე.

–სოფიო პერტია, დაბადების თარიღი: 1977 წლის 5 მაისი.

მყავს მეუღლე და სამი ქალიშვილი.

შრომითი ბიოგრაფია.

–1994-2006 წლებში ბიის საშუალო სკოლის პედაგოგი, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში.

2006 წლიდან №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.

როგორ შეხვდით ერთმანეთს, გკერათ „ერთი ნახვით შეყვარების“?

–ჩვენ არ ვართ ვირტუალური და ფეისბუკის თაობა, საერთო ნაცნობების გარემოში გავიცანით ერთმანეთი, თითქოს გუშინ იყო... ერთმანეთი ერთი ნახვით არ შეგვყვარებია.

რამდენ ხანში მოვიდა ის დიდი გრძნობა, რომელმაც სამუდამოდ შეაერთა თქვენი ცხოვრების გზები.

–ჯერ დავმეგობრდით და ჩვენი ურთიერთობა სიყვარულში თანდათან გადაიზარდა, ერთმანეთის ხასიათი კარგად შევისწავლეთ, გულმართალი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. თითქმის ყოველდღე ვნახულობდით ერთმანეთს, (საოლქოში გადმოსვლაც დაემთხვა) მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნა ძალიან მომწონდა. მოკლე დროში გადავწყვიტეთ დაქორწინება, ჯვრისწერას მეგობრები ესწრებოდნენ, ჩვენი გადაწყვეტილება მშობლებს შევატყობინეთ, ჩვენ კი სამოგზაუროდ სამცხე-ჯავახეთში წავედით.

რა თვისებები გააჩნია თქვენს მეუღლეს ისეთი, რომელიც გამოარჩევს სხვებისგან.

–შრომისმოყვარე, პასუხიმგებლობის მქონე, ყურადღებიანი და მართალი ადამიანია. მის რჩევას ყოველთვის ვითვალისწინებ და ყოველთვის ამართლებს.

შეიცვალეთ ოჯახური გარემო. როგორ შეეგუეთ ახალ საცხოვრებელს, ძნელია ახალი ოჯახის, ახალ წევრებთან შეგუება.

–ახალ სიტუაციაში აღმოვჩნდი, იყო გაუცხოების, შეგუების დღეები. მეუღლე დამეხმარა დამკვიდრებაში. პირად ურთიერთობებში იმაზე დამთმობი ვარ, ვიდრე წარმომედგინა.

რაში ემთხვევა თქვენი აზრები ერთმანეთს, რაში ვერ თანხმდებით.

–სიყვარულით შექმნილი ოჯახი ჯანსაღად ფეთქავს, არც კამათი გვაშინებს, შვილების აღზრდისა და პიროვნულად ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად ვმონაწილეობთ, ამასთან დაკავშირებით გვაქვს აზრთა სხვადასხვაობა.

დაახასიათეთ თქვენი მეუღლე.

–არის ჭკვიანი. მზრუნველი ხასიათი აქვს. ყურადღებიანია (მიუხედავად დატვირთული რეჟიმისა, ყოველდღე რამდენჯერმე ახერხებს ტელეფონით დაკავშირებას).

რომელი უფრო მონაწილეობს შვილების აღზრდაში,რას მიიჩნევთ პრიორიტეტად, რაში ხედავთ სირთულეებს?

–როცა ოჯახს ქმნი და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას იღებ ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, მეუღლეს არასდროს ვსაყვედურობ, ვიცი რომ დრო არა აქვს, შვილებისთვის თავდაუზოგავად ვიხარჯებით. მომთხოვნი მშობლები ვართ. 21-ე საუკუნეში დრო ხომ ათიათასჯერ არის აჩქარებული, ვცდილობთ ფეხი ავუწყოთ და სრულფასოვანი გარემო შევქმნათ, სირთულეებს არ შევუშინდეთ, პრიორიტეტად მიგვაჩნია სწავლა-განათლება და სიკეთის არსის გათავისება.

გეხმარებათ თუ არა მეუღლე საშინაო საქმეებში, კერძოდ..

–არა, შეძლებისდაგვარად მე ვართმევ თავს, მეხმარებიან ოჯახის წევრები, დიდი ოჯახი დაკავშირებულია გამძლეობასთან, დატვირთულ რეჟიმთან, შრომასთან და ამავე დროს სიყვარულთან, არის საკითხები, რომლებსაც დათოს გარეშე ვერ ვწყვეტ. საოჯახო საქმეებს მე თვითონ „ვაკონტროლებ“.

რას ეტყვი მას?

–ამაყი ვარ ჩემი ოჯახით, ჩემი მეგობრებით და ჩემი ქვეყნით. ჩვენი ცხოვრება პასუხისმგებლობაა ერთმანეთის და შვილების წინაშე, მინდა სიკეთესა და სიყვარულში შეუცვლელები ვიყოთ.

დავით პაპავა

ვინ არის დავით პაპავა?

–პროფესიით იურისტი, შრომითი მოღვაწეობა დავიწყე საადვოკატო საქმიანობით, პარალელურად იურიდიულ მომსახურებას ვუწევდი სხვადასხვა კერძო კომპანიებს. ამჟამად, ვარ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

რა თვისებების გამო აირჩიეთ ცხოვრების თანამგზავრი? გაგიმართლათ?

–სოფიო, მიზანდასახულია, გამჭრიახი, მომხიბვლელი გარეგნობით. ბევრი საერთო შეხედულებები აღმოვაჩინეთ ერთმანეთში რამაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

როგორ ფიქრობთ, რა ასაკში უნდა დაქორწინდნენ ადამიანები, რა უნდა იცოდნენ მათ ოჯახზე?

–ჩვენ ვიქორწინეთ 29 წლის ასაკში და მიმაჩნია ქორწინებისთვის საუკეთესო ასაკია, შეხედულებები, ღირებულებები და გემოვნება ჩამოყალიბებულია.

როგორ ფიქრობთ, რა არის ოჯახი, როგორ დაახასიათებთ მას (ტრადიციული, პატრიარქალური, მატრიარქალური), რა ფუნქციის მატარებელია იგი ქვეყანაში!

–სასარგებლო ტრადიციები აძლიერებს ოჯახს, საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ სიკეთე და სიყვარული. ბავშვებზე გავლენას ახდენს ოჯახური ტრადიციები, რაც გარკვეული წესებითა და ჩვევებით თითქმის ავტომატურად სრულდება, ოჯახური თავყრილობები,სტუმრობები, საუბრები, მოვლენების განხილვა, ვერც შევამჩნიეთ, ისე იქცა ტრადიციად. ჩვენს ოჯახში გარდა დიდი დღესასწაულებისა, სახალისოა დაბადების დღეების აღნიშვნა, სიურპრიზების მოლოდინი. საჩუქრების მირთმევა, დღესასწაულების განუყოფელ ნაწილად ვაქციეთ. ერთობლივი საზრუნავი აახლოვებს, ადუღაბებს ოჯახს. ძლიერი ოჯახი ძლიერი სახელმწიფოს საძირკველია.

ვინ უნდა გაზარდოს შვილები, ვისი როლია უპირველესი?

–უნდა ვაღიარო, რომ დედის როლი მნიშვნელოვანია, ისე აღზრდის პროცესში ორივენი ვართ ჩართულები.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ კარგი მამა ვარ, მიუხედავად იმისა, რომ დიდ დროს ვერ ვატარებ შვილებთან. თუმცა ვცდილობ დასვენების დღეები მაქსიმალურად გავატარო ოჯახთან ერთად. გვიყვარს ერთად ყოფნა, ხანდახან ვახერხებთ პიკნიკზე ერთად გასვლას ამით ვანებივრებ ჩვენს თავს და ვახანგრძლივებ შვილებთან ყოფნის დროს, ბუნების წიაღში, ჩვენც სიმშვიდე გვეუფლება და ბავშვებსაც ვაჩვევთ ბუნებაში ყოფნის, მისით ტკბობის ჩვევებს.

დაახასიათეთ თქვენი მეუღლე.

–საკუთარ თავს მაქსიმუმს თხოვს. იცის საქმის, ოჯახის, მეუღლის, მეგობრების ერთგულება.

როგორია თქვენი მიდგომა გენდერისადმი-ქალი მამაკაცის თანასწორი თუ „ქალი სამზარეულოში“?

–ქალი და მამაკაცი თანასწორია, ქალს უნდა შეეძლოს დროის თანაბრად გადანაწილება, რომ სამზარეულოც და საზოგადოებაც შეუთავსოს ერთმანეთს.

მამაკაცი კი ვალდებულია, მხარი დაუჭიროს მის ყოველ ინიციატივას, ირწმუნოს მისი ძალების და დაეხმაროს მას თვითრეალიზაციაში.

რას ეტყვით მას?

–მინდა ყოველთვის გვიხაროდეს.

ესაუბრა
მანანა შულაია.

კლასიკური მუსიკა–სულის სიმშვიდე

ხობის მუნიციპალიტეტში არსებულ სამუსიკო სკოლას დიდი ხნის ისტორია აქვს. სამუსიკო სკოლაში აღზრდილა არა ერთი ლამაზი, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა, რომლებიც სწორედ ამ კედლებში, ღირსეული პედაგოგების ძალისხმევით, პირველად ეზიარნენ ფორტეპიანოსთან ჯდომის, კლავიატურასთან შეხების, კლასიკური თუ ხალხური მუსიკის მოსმენის კულტურას. მუსიკისადმი დიდმა სიყვარულმა კი შემდგომში ბევრ მათგანს უბიძგა სწავლა სამუსიკო სასწავლებლებში გაეგრძელებინათ.

დღეს ამ ისტორიულ გზას მიჰყვება პედაგოგთა ძლიერი არმია, რაც პიანისტთა აღზრდა-განვითარებას ემსახურება. მუსიკალური განათლების უმძიმეს, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან დარგს უფროს თაობასთან ერთად, ახალგაზრდა, ნიჭიერი, კვალიფიციური პედაგოგთა კოჰორტა უძღვება ქალბატონ ხათუნა ხუნწარიას ხელმძღვანელობით.

სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მრავალი საინტერესო ღონისძიება ტარდება, როგორც სასწავლო-მეთოდური, ასევე საკონცერტო ხასიათის, რომლებიც სრულფასოვნად აისახება ჩათვლების, დახურული და ღია აკადემიური, სემესტრული, საშობაო თუ საგაზაფხულო კონცერტებისა და კონკურსების სახით.

საფორტეპიანო და თეორიული განყოფილებისთვის I სემესტრის დამაგვირგვინებელი აკორდია საშობაო-საახალწლო კონცერტი, რაშიც ნორჩ მუსიკოსთა და პედაგოგთა დაუღალავი და უანგარო შრომაა ჩადებული.

სასწავლო წლის მეორე ნახევარი საინტერესო საგაზაფხულო კონცერტების ციკლმა დაამშვენა. წლის შემაჯამებელ კონცერტზე სამუსიკო სკოლის მთელმა კოლექტივმა თავიანთ აღსაზრდელებთან ერთად ლამაზი კონცერტი მოუწყვეს მშობლებს და დამსწრე საზოგადოებას. წლის ბოლო აკორდი კი გახლდათ ქალბატონ ნათელა მარგველაშვილის მოსწავლეების კონცერტი.

ქალბატონი ნათელა მარგველაშვილი ათეული წელია, რაც თავის პროფესიას პირნათლად ემსახურება. მრავალი თაობების აღმზრდელი ქალბატონი დღესაც მთელი რუდუნებით იღწვის. ყველა, დიდი თუ პატარა, ერთნაირი სითბოთი იხსენებს მასთან გატარებულ წლებს. შრომისმოყვარე, ყველასთვის საყვარელი ქალბატონი მაგალითია პედაგოგებისთვის, ის დაუღალავ შრომას ეწევა თითოეულ მოსწავლესთან, სხვანაირი პასუხისმგებლობა და ღირსება გააჩნია, ყოველთვის სურს ღირსეულად წარმოაჩინოს სამუსიკო სკოლა. ქალბატონი, რომელიც 35 წლის განმავლობაში გახლდათ სამუსიკო სკოლის წარმატებული დირექტორი, აქ გატარებული წლები კი ჯამში 55 წელს ითვლის.

რამოდენიმე წელია, რაც ქალბატონი ნათელა მარგველაშვილი აკადემიური კონცერტებით გვანებივრებს. მას მოსწავლეებთან მუშაობის თავისებური მიდგომები ახასიათებს, მკაცრი და მომთხოვნი ქალბატონი თავისი მოსწავლეებისგან მუსიკის სიყვარულს მოითხოვს. საკმარისია მოსწავლეში მუსიკისადმი მიდრეკილების ნაპერწკალი შეამჩნიოს, მას ბოლომდე გაჰყვება და მისგან პატარა ვირტუოზსს შექმნის, ალბათ არ მიწყენენ მოსწავლეები თუ ყურადღებას ამჯერად ნოდარ და ნიკო შონიებზე შევაჩერებ. ნოდარი დასავლეთ საქართველოს რეგიონალური მუსიკალური ფესტივალის საპატიო დიპლომანტი გახლავთ. მათ ამ კონცერტზე მაყურებელს თავი შესრულებული ნაწარმოებებით დაამახსოვრეს. დარბაზმა ოვაციები ვერ დამალა, როცა პედაგოგმა ჟიული ლატარიამ და ნოდარ შონიამ ვლადიმერ პოლუნინის საფორტეპიანო კონცერტი წარმოადგინეს. მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ ნათელა მარგველაშვილის მოსწავლეები: გიორგი შონია, ანი და თემურ კვიკვინიები, ანა ჟვანია.

კონცერტში მონაწილეობას პედაგოგების ცირა ანთიასა და ჟიული ლატარიას მოსწავლეები ღებულობდნენ.

სოფიკო კვარაცხელია, ლიზი ჩიტაია, ნინი ბერაია, ქეთი გაბრავა. (ჟიული ლატარიას კლასი), ლილე სიჭინავა, ლინდა და ლუკა კაპანაძეები, ლიზი ქარცხია. (ცირა ანთიას კლასი).

კონცერტის დასასრულს პედაგოგმა მზევინარ გვაძაბიამ შეასრულა რევაზ ლაღიძის უკვდავი სიმღერა „თბილისო“. აკომპანირებას პედაგოგს ნოდარ შონია უწევდა.

კარგია წარმატებაზე საუბარი, მაგრამ არ შეიძლება თვალი დახუჭო არსებულ პრობლემებზე როცა საკუთარ მუნიციპალიტეტზე, ახალგაზრდებზე გული შეგტკივა. დასაძრახი ამაში არც არაფერია, მტკივა ქალბატონ ნათელას მუსიკალურ სკოლაში არსებული პრობლემები, მას კულუარებში ამ საკითხებზე ლაპარაკი არ ჩვევია, თამამად საუბრობს თავის პრობლემებზე ხელისუფალთან თუ რიგით „ჩინოვნიკთან“ მაგრამ...

ამდენი წლის ნაშრომ ნაჯაფ ქალბატონს არ შეიძლება მისი შრომის ფასი დავუკარგოთ. მიკერძოებაში. ვფიქრობ, ვერავინ ჩამითვლის ამ სიტყვებს, რამეთუ უკვე მერამდენე წელია ქალბატონ ნათელა მარგველაშვილის კონცერტს ვესწრები... მისი გულისტკივილი კი ამ წელსაც უცვლელია, სკოლის პრობლემები, რაც თითოეულ მასწავლებელს აღელვებს. ეს არის მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა. და, რაც ალბათ უპირველესია, ინსტრუმენტები, რომელთა უმრავლესობა უვარგისია. აქვე არ შემიძლია ყურადღება არ შევაჩერო სამუსიკო სკოლის როიალზე, ახალ როიალს ადგილობრივი ხელისუფლება ორი წლის წინათ შეპირდა სამუსიკო სკოლას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა...

ქალბატონ ნათელა მარგველაშვილის თაოსნობით ჩატარებულ კონცერტს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები,–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია ესწრებოდნენ. იქ მყოფმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მუსიკალური სასწავლებლის კოლექტივს აღუთქვეს, რომ ისინი სულ მალე ახალ შენობაში გადაინაცვლებენ, სადაც მოსწავლეებს დახვეწილი გარემო დახვდებათ და არსებული პრობლემებიც დადებითად გადაწყდება. კითხვაზე კი ზუსტად სად, მათ პასუხი ჯერჯერობით ვერ მიიღეს. ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, ჯერ სასწავლო წლის დაწყებამდე საკმაო დროა.

სამუსიკო სკოლის კოლექტივს მინდა მოსწავლეთა სიმრავლე, წარმატებები და ოცნებების ასრულება ვუსურვო...

ნინო გერგაია

ჩვენ და გარემო

ახალი გარემოსდაცვითი ინიციატივა სამეგრელოს რეგიონში

„ადგილობრივი თემების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და კონსერვაციაზე ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, სამეგრელოს რეგიონში ანხორციელებს პროექტს „ადგილობრივი თემების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და კონსერვაციაზე ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“, რომელიც წარმოადგენს სამეგრელოს რეგიონში 2012–2013 წლებში საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მიერ განხორციელებული საპილოტე პროგრამის გაგრძელებას, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონში სამეცნიერო–კვლევითი სამუშაოების ჩატარების გზით ბიომრავალფეროვნების მონიტორინგსა და სენსიტიური უბნების იდენტიფიცირებას, რომლებიც საჭიროებენ აუცილებელი დაცვითი ღონისძიებების გატარებას, ასევე არსებული სოციალურ–ეკონომიკური ინდიკატორების გამოვლენასა და შესაბამისი დაცვითი რეკომენდაციების შემუშავებას.

პროგრამა გულისხმობს მიღებული გამოცდილების გაზიარებას ადგილობრივი თემებისთვის და ახალი ინოვაციური მიდგომების დანერგვას, სადაც უპირატესობა მიენიჭება დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივ ქმედებებს, თემების ჩართულობას და გადაწყვეტილების მიღების კოორდინირებულ მიდგომებს.

პროექტი ვრცელდება სამეგრელოს 7 მუნიციპალიტეტის 21 სამიზნე თემში და მიზნად ისახავს მაღალკონსერვაციული ჰაბიტატების კონსერვაციაზე ხელშეწყობას, ადგილობრივი სამიზნე თემების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პრაქტიკის დანერგვითა და საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების გაუმჯობესების გზით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კომპლექსური აქტივობები, მათ შორის გამწვანებისა და დასუფთავების აქციები, დეგრადირებული ტყეების ფრაგმენტებისა და ქარსაცავი ზოლების აღდგენითი სამუშაოები, ალტერნატიული, ეკოლოგიურად გამართლებული აღდგენადი ენერგო–ტექნოლოგიების დემონსტრირება, სამეცნიერო–კვლევითი და ცნობიერების ასამაღლებელი სამუშაოები. პროექტის ერთ–ერთ სტრატეგიული პარტნიორია გარემოს დაცვის სამინისტრო მასზე დაქვემდებარებული სხვადასხვა უწყებებით.

პროექტის საწყისს ეტაპზე შედგა შეხვედრები სამიზნე მუნიციპალიტეტების გამგეობის ხელმძღვანელობასთან და თემების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი რესურსცენტრებისა და პროექტის ფარგლებში შერჩეული საჯარო სკოლების პედაგოგებთან, რომლებსაც პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ მიეწოდა დაწვრილებითი ინფორმაცია პროექტის მნიშვნელობის, ამოცანებისა და დასახული გეგმების შესახებ. პროექტი თითოეულ რეგიონში წარმოდგენილია ადგილობრივი კოორდინატორების სახით, რომელთა ხელშეწყობითაც ორგანიზება უკეთდება დაგეგმილ საქმიანობებს მუნიციპალიტეტებში.

ამ ეტაპისთვის, პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამიზნე მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობისათვის, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის რესურსცენტრების წარმომადგენლებისათვის, სამიზნე სკოლების პედაგოგებისათვის და მოსწავლეებისათვის, ასევე მოსახლეობისათვის საგანმანათლებლო შინაარსის სემინარები და შეხვედრები პროექტის დეტალურად გაცნობის მიზნით, სადაც საუბარი იყო ასევე,

სამეგრელოს რეგიონის ბიომრავალფეროვნების პოტენციალზე და მდგრად მართვაზე. ჩატარდა სხვადასხვა სამუშაოები პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე. მათ შორის, სკოლებში შეიქმნა საკონსერვაციო ბაღები, რამდენიმე მუნიციპალიტეტში შეირჩა და ნაწილობრივ გაშენდა ქარსაცავი ზოლები, მოხდა რეგიონში დეგრადირებული ტყეების აღწერა, შეირჩა საძოვრების მდგრადი მართვის დანერგვის მიზნით სამიზნე ტერიტორია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში. ამ დროისთვის დაგეგმილია სამეცნიერო ექსპედიცია იშვიათი და ენდემური სახეობების მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და ტყის არამერქნული რესურსების შესწავლის მიზნით.

პროექტი ინიცირებულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები- საქართველოს მიერ, შვეიცარიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის Pro-Natura - დედამიწის მეგობრები - შვეიცარიის ფინანსური მხარდაჭერით.

ზვიად დათუაშვილის ხსოვნას მიეძღვნა

10-16 ივნისს შუა ხორგაში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ტრაგიკულად დაღუპულლი ჯარისკაცის ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში. გუნდები კენჭისყრის შედეგად შემდეგნაირად განაწილდნენ:

A ჯგუფი–შუა ხორგის, ჭალადიდის, ქარიატისა და ხობის ცენტრის ფეხბურთელები.

B ჯგუფში ასპარეზობდნენ თავდაცვის სამინისტროს, დასავლეთ ოპერატიული სარდლობის, სენაკის II ქვეითი ბრიგადის, საგვიჩიოს, ახალი სოფლისა და ხობის-2 ფეხბურელთა გუნდები. ჯგუფური თამაშების შემდეგ ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ.

ხობის ცენტრისა და ახალი სოფლის გუნდებმა პირველ ნახევარფინალურ წყვილში დაძაბული შეხვედრა ჩაატარეს, რომლის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა. პენალტების სერიაში ხობელებმა შეძლეს გამარჯვება და ფინალში გავიდნენ. მეორე ნახევარფინალში სენაკის II ქვეითი ბრიგადის ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს ჭალადიდელები და ფინალში გავიდნენ.

16 ივნისს, შეჯიბრების დასკვნით დღეს, გაიმართა მატჩები მესამე ადგილისთვის და ფინალი.

მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ნახევარფინალებში წაგებული ახალი სოფლისა და ჭალადიდის ფეხბურთელთა გუნდები. ახალსოფლელებმა დაამარცხეს ჭალადიდელები და დაიკავეს მესამე ადგილი, მათ გადაეცათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

ფინალში მონაწილე გუნდებმა ხობის ცენტრისა და სენაკის II ქვეითი ბრიგადის ფეხბურთელებმა მატჩი მეტად საინტერესოდ ჩაატარეს, რომელიც დაძაბულად წარიმართა და სენაკის II ქვეითი ბრიგადის ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებით 3:2 დამთავრდა.

ამრიგად ხობის ცენტრის ფეხბურთელთა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა და შესაბამისად დაჯილდოვდა მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასითა და სიგელით.

პირველი ადგილი ღირსეულად დაისაკუთრეს და ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის მფლობელნი გახდნენ სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ფეხბურთელები. ტურნირზე სხვადასხვა ნომინაციაში დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის:

საუკეთესო მეკარე–ლაშა ჩიტაია (სენაკის II-ქვეითი ბრიგადა);

საუკეთესო მცველი–გოჩა კაცაძე (ხობის ცენტრი);

საუკეთესო ნახევარმცველი–ლევან ჩაჩიბაია (ახალი სოფელი);

საუკეთესო თავდამსხმელი–ბაკურ ნანეიშვილი (სენაკის II-ქვეითი ბრიგადა);

საუკეთესო ბომბარდირი–ლევან ქაშიბაძე (ხობის ცენტრი);

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი–გიგა ბერაია (სენაკის II-ქვეითი ბრიგადა);

დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი **გოჩა ქაჯაია**, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, შუა ხორგის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი **ედიშერ ჯობავა**. გამგებლის მოადგილე **მახარე ჩოკორაია**, კულტურის, განათლების, სპორტის ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონი **როზეტა შულაია**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი ნანა ბუკია, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი შუა ხორგაში **ვალერიან ქაცარავა,** ხობის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დირექტორი **კობა კობახიძე** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დასავლეთ ოპერატიული, სენაკის II ქვეითი ბრიგადის ვ/პოლკოვნიკი **გიორგი ბლიაძე**.

დაჯილდოებისას ტურნირის ორგანიზატორებმა, მონაწილეებმა და გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ზვიად დათუაშვილის ხსოვნას.

ლევან ლემონჯავა.

სულთათანა

ქეთო გაგუა

ამ სამზეოზე ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შენარჩუნდება თუ არა ადამიანის სულის სიმშვიდე, სინელლე, სინატიფე, ამაღლებულობა, მშვენიერება, სიყვარული. ეს ამაღლებული, უზენაესი გრძნობები ვინ თუ არა–მოძღვარმა უნდა გააღვიძოს მოზარდის სამშვენელში, ცოდნის საუფლოში, რადგან ჭკვიანი კაცისა არ იყოს, „ჩვენ, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“.

ამ საშვილიშვილო საქმეს ემსახურებოდა და ათეული წლების განმავლობაში მოზარდების სულებზე, „სუფთა დაფაზე“ გამოყავდა უმაღლესი ფასეულობები–სიკეთის, სიყვარულის, შენდობის, მოყვასის მიტევების, ქვეყნის თავდადების, თავგანწირვის ფორმულა. სასწავლო ოთახს, ცხოვრების კელაპტარივით ანათებდა ერთი დარბაისელი, სულგრძელი, მზიანი სულის მქონე, ნივთიერება და სულიერება შერწყმული, არსთაგამრიგისაგან დამოძღვრის, დაკვალიანების განსაკუთრებული მადლით ცხებული, დიდბუნებოვანი, ლმობიერი ადამიანის და მოზარდის სიყვარულში დაფერფლილი, აწ უკვე მზეგარდასული, დიდი ქალბატონი ქეთინო გაგუა, რომლის ქართველობა–მოძღვრობა, განსაკუთრებულ ელფერს ატარებდა და წმინდანის სინათლით იყო გარემოსილი.

მართალია, მისი საწუთისუფლო ბედისწერა არ აღმოჩნდა დღეგრძელი, ის მაინც ბედნიერი პიროვნება იყო, რადგან მთელი არსებით უყვარდა და ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს, ხოლო, ვინც მთელი არსებით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს, თავისთავად ბედნიერია, რამეთუ შესრულებული მოვალეობით დამშვიდება სულისა, არის ბედნიერება.

ტყუილია, მეგობარი არ კვდება, ის მხოლოდ გვერდით აღარ გყავს. ხსოვნაც ხომ თავისთავად სიკვდილის სიკვდილია, სიცოცხლის გამარჯვებაა, მან კი გავლილი ლამაზი სიცოცხლითა და ლამაზი გაკვეთილებით იმდენი სითბო და სიყვარული დაიმსახურა, რომ სულ მუდამ მარადიული აწმყო იქნება თაობებისთვის. სანთელი, რომელიც მან დაანთო ახალი ხიბულის საჯარო სკოლის ცოდნის ტაძარში, არასოდეს ჩაქრება. მის ხსოვნას მისი დაფრთიანებული მოზარდები და მეგობრები, ამხანაგები სანთლებად აინთებენ...

იძინე მშვიდად დიდო ქალბატონო... თუმცა მას სასმენელი საქართველოს მაჯაზე ქონდა დაყურადებული და სანამ ქართული მიწა-წყალი ტორტმანებს, მშვიდად რა დააძინებს...

ყოვლადწმიდა სამებამ ჩვენმა დააწესოს სული მისი იქ, ზესთა სოფელში, სადაც მართალნი განისვენებენ...

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ, განანათოს თქვენი სული; ნათელში გამყოფოთ გამჩენმა, დიდო ქალბატონო!

ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი.

ლიანა ნადარაია

„ერთხელ ვცხოვრობ, მინდა ყველას ვუყვარდე“ ეს შენი სიტყვებია, რომელიც ცოტა ხნის წინ მითხარი, დიდი ხნის უნახავები როცა თბილისში შევხვდით. შენ ყვავილების ზღვა გეხვია ირგვლივ, თაიგულებს კრავდი და მყიდველებს სთავაზობდი მათ სილამაზეს. გეუხერხულა ჩემი დანახვა, მაგრამ მალევე გულითადი საუბარი გავაბით.

გენატრებოდა ხიბულა, დიდი ხნის უნახავი მეზობლები, მეგობრები, რედაქციის „გოგონებიც“ მოიკითხე, დრო არ გრჩებოდა, მშობლიური კუთხის სანახავად...

მიგვატოვე და წახვედი, მაგრამ გული აქ დაგრჩა, შენ წახვედი უგულოდ, ყველასგან შორს და იცი რატომ? იმიტომ რომ შენ უყვარდით. მე ბავშვობიდან მახსოვხარ, იმ დროიდან, როცა ზუბის და ხიბულის სკოლები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით სიმღერაში, თქვენ, ნადარაიები, სკოლას მუდამ სიმღერით წარმოაჩენდით, ახლაც ჩამესმის შენი წკრიალა ხმა, მუდამ მხიარული, ხალისიანი, სხვებისთვისაც გადამდები იყო შენი პოზიტიური განწყობა, მახსოვს შენი განსაკუთერებული გემოვნებიანი ჩაცმის სტილი, აქტიურობა. მუდამ იქ იყავი, სადაც სიცოცხლე და ხალისი სუფევდა. კარგი მეგობარი და ყველა გაჭირვებულის ჭირის მოზიარე. უზომოდ კეთილი და მგრძნობიარე. ახლა გავიხსენე, სამოქალაქო ომის პერიოდში, როცა ქვეყანაში ქაოსი იყო დასადგურებული, სენაკის რკინიგზის სადგურზე შევხვდით, თბილისში მივდიოდით, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ (რადგან გრაფიკები არ არსებობდა), მატარებელი პირველის ნაცვლად მეორე ლიანდაგზე შემოვიდა, ხალხი სირბილით დაიძრა და ამ ჭყლეტაში, ერთი ხიბულელი ქალი, მატარებლის ქვეშ მოჰყვა. მას თან არავინ ახლდა, პატრონად შენ გამოუჩნდი, ქვეყანა შეყარე, მანქანა აიყვანე და მიცვალებული სახლში მიაცილე. შენ იმ ღამით თბილისში არ წასულხარ...

ლიანა ნადარაიავ! ეს მხოლოდ ერთი მაგალითია შენი ცხოვრებიდან, შენ სულ მუდამ ასეთი იყავი, სიკეთის მკეთებელი, უანგარო და უშურველი, სიყვარულის და სითბოს უხვად გასცემდი, სამაგიეროს კი არავისგან ითხოვდი. ბოლო პერიოდში შენს ხმას ბზარი შეეპარა, მაგრამ ეს, ალბათ, ამ გაუსაძლისმა ცხოვრებამ და უსაშველო მონატრებამ იცის...

ლია, გული მწყდება ასე ადრეულ ასაკში რომ გადაინაცვლე მარადისობაში, მაგრამ „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა. ჩვენს მიერ ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს წყვდიადი. მჯერა, იქ მაინც დაიმკიდრებ შენს შესაფერის ადგილს.

მანანა შულაია.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო მწუხარებაში თანაუგრძნობს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორს ბეჟან ნადარაიას დის

ლიანა ნადარაიას

გარდაცვალების გამო.

შპს „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ყოფილ დირექტორს ბეჟან ნადარაიას დის

ლიანა ნადარაიას

გარდაცვალების გამო.

აუქციონი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს

აუქციონს

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე და ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

დანართი №1

№	დასახელება	გამოშვების წელი	სახელმწიფო ნომერი	მარკა	საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება	აუდიტორული შეფასება	ბე 10%	ბიჯი 10%	ბილეთის ღირებულება
1	სატვირთო-ბორტიანი	1988	SD-681-DS	ZIL-131	1890	–	1200	120	120	20
2	სატვირთო-თვითმცლელი	1989	SD-682-DS	SAZ-3507	1672	–	500	50	50	20
3	საფეხბურთო-მოედნის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მასალები(ჯართი)	–	–	–	–	–	14000	1400	1400	20

დანართი№2

№	მისამართი	სართული	გასაიჯარებელი ფართი კვ.მ	1კვ.მ ფართის ღირებულება	გასხვისების ვადა	იჯარის ქირის განაკვეთი	საიჯარო ქირა საშ. თვეში	ბე 10%	ბიჯი 10%	ბილეთის ღირებულება
1	ჭალადიდის ყოფილი ადმინისტრაციული შენობა	მე-2	12	82	3	30	24.60	2.5	2.5	20

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2016 წლის 15 ივლისი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–707017021, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22.

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინაადღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში, საკონტაქტო პირი-ლამზირა თოდუა -ტელ-599-85-60-91.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მოლოცვა

ლუკა და ლიზი!

ჩემო უმშვენიერესო პატარებო, გილოცავთ დაბადების დღეებს. დღეგრძელი, მზეგრძელი და მუდამ გამორჩეულები ყოფილიყავით.

ჩემო მონატრებულო პატარებო, ყოველდღე თქვენზე ლოცვაში ვაღამ-ვათენებ. ძალიან მენატრებით, ეს ერთი წელი საუკუნედ მექცა. მართალია, ყოველდღე გესაუბრებით და გხედავთ ინტერნეტით, მაგრამ, რომ ვერ გეფერებით, ვწუხვარ.

ლუკა, ლიზი ყოველთვის ნათელი და მზიანი დღე გქონოდეთ, ყველა ოცნებისა და ნატვრის ახდენა დაგაბედოთ უფალმა თქვენს მშობლებთან ერთად.

გკოცნით. უსაზღვროდ მიყვარხართ!

მაყვალა ბებო!

გახდი „საქართველოს მოხალისე“

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, მოხალისეობის განვითარების პროგრამის–“საქართველოს მოხალისე”-ს ფარგლებში ხობში შერჩევის მიზნით აცხადებს კონკურსს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ აქტიურ მოქალაქეს. პროგრამის ფარგლებში მოხალისეებს მოუწევთ დაგეგმონ სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები. პროექტში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ ხობში დაუკავშირდნენ კოორდინატორებს–ირაკლი კვირკველიას და ნიკოლოზ სურმავას. პრეზენტაცია პროექტის შესახებ გაიმართება 5 ივლისს, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში 5 საათზე.

„საქართველოს მოხალისეს“ კოორდინატორების საკონტაქტო ტელეფონი: ირაკლი კვირკველია (598598703), ნიკოლოზ სურმავა (571612233).

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვების რეგისტრაცია 1 ივლისს დაიწყება

ხობის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში 2016-2017 სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის რეგისტრაციის პროცესი დაიწყება 1 ივლისს. სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვების რეგისტრაციაზე მოთხოვნის დაფიქსირება შესაძლებელია: ხობის მუნიციპალიტეტის 29 საბავშვო ბაღში; ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში“ (ც. დადიანის ქ. №169) სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვების რეგისტრაციისთვის წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

ნოტარიულად დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლი /2 ეგზემპლარი/;

ჯანმრთელობის ცნობა;

ფოტოსურათი (3X4-2 ცალი);

მშობლების პირადობის მოწმობის ასლები.

შენიშვნა : ჯანმრთელობის ცნობაში დაფიქსირებული უნდა იყოს ინფორმაცია აცრების შესახებ. რეგისტრაციის განაცხადზე გადაწყვეტილების მიღება საბავშვო ბაღში რეგისტრაციის განაცხადის დაფიქსირების შემდეგ, განაცხადი გადაწყვეტილების მისაღებად იგზავნება სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორთან . რეგისტრაცია შესაბამისი ასაკის მიხედვით, ბაგის ასაკობრივ ჯგუფში რეგისტრაციის გავლას შეძლებს ყველა ის ბავშვი, რომელიც სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისში–15 სექტემბერს 2 წლის იქნება.

ბაღის ჯგუფში რეგისტრირდება ყველა ის ბავშვი, რომელსაც სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისში–15 სექტემბერს შეუსრულდება 3 წელი.

საბავშვო ბაღებში ჩარიცხვისას გასათვალისწინებელი პრიორიტეტები.

საბავშვო ბაღებში, აღსაზრდელთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცესში, პრიორიტეტები ენიჭებათ შემდეგი კატეგორიის ბავშვებს:

სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები;

იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით;

ჩარიცხვის პროცესი განაცხადის დამუშავების შედეგად გაერთიანების დირექტორის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბავშვი ჩაირიცხება შესაბამის საბავშვო ბაღში.

აღსაზრდელთა ჩარიცხვა განხორციელდება 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. ჩარიცხულ აღსაზრდელთა სია გამოიკვრება შესაბამის სკოლამდელ დაწესებულებაში.

საბავშვო ბაგა-ბაღებში 2016-2017 სასწავლო-სააღმზრდელო წელი 15 სექტემბერს დაიწყება.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი ეიწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.